ეთიკის კომისიის

რ ე კ ო მ ე ნ დ ა ც ი ა

მეორე დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

კომისიის თავმჯდომარე: თორნიკე ბაქრაძე

კომისიის წევრი: მარიკა არევაძე

კომისიის წევრი: ცისმარი ონიანი

შეკითხვის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 07.07.2020

შეკითხვის რეგისტრაციის ნომერი: 004/20

I შეკითხვა:

იურიდიული დახმარების სამსახურის რეესტრის ადვოკატი „ბ“ იცავს კლიენტს სსკ გათვალისწინებულ განსაკუთრებით მძიმე დანაშაულზე (დანაშაული არ ითვალისწინებს უვადო პატიმრობას). კერძოდ, ადვოკატს სავალდებულო დაცვის წესით მოსამართლის განჩინებით, სსსკ 45-ე მუხლის ,,ვ” პუნქტით გათვალისწინებული საფუძვლით (საპროცესო შეთანხმება) დაევალა კლიენტ „ა“-ს ინტერესების დაცვა სასამართლოში. ადვოკატი იმ ეტაპზე ჩაერთო საქმეში, რა დროსაც შემაჯამებელი გადაწყვეტილების გამოტანამდე დარჩენილი იყო 25 დღე.

ვინაიდან, საქმე იყო მოცულობითი (9 ტომი) სასამართლომ ადვოკატის შუამდგომლობა საქმის გაცნობის მიზნით პროცესის გადადების თაობაზე დააკმაყოფილა ნაწილობრივ და მისცა 5 დღე, საქმე კი წინა ადვოკატისგან ადვოკატ „ბ“-ს ორი დღით ადრე ჰქონდა გადაცემული.

პროცესის შემდეგ, საპატიმრო დაწესებულებაში ადვოკატი „ბ“ შეხვდა დასაცავ პირს - კლიენტ „ა“-ს, რომელიც აღმოჩნდა ადვოკატ „ბ“-ს ყოფილი პატიმარი (ადვოკატი „ბ“ ადრე მუშაობდა გარკვეული დროის მანძილზე სასჯელაღსრულების დაწესებულებებში სხვადასხვა თანამდებობებზე), თუმცა ამ მხრივ, კლიენტს მის მიმართ პრეტენზია არ გამოუთქვამს.

შემდგომ პროცესამდე, ადვოკატი დამატებით გაეცნო საქმის მასალებს და ისევ შეხვდა კლიენტს. ადვოკატმა განუმარტა კლიენტს თუ რა მტკიცებულებებს ეყრდნობოდა პროკურატურა, აგრეთვე განუმარტა, რომ საქმე მოცულობითი იყო და თუ რამ გამორჩა - მისთვის ეთქვა. კლიენტმა განუცხადა, რომ საქმის მასალებს კარგად იცნობდა და ახალი არაფერი იყო, გარკვეულ საკითხებზე კი მოგვიანებით შეჯერდებოდნენ.

შეხვედრიდან მეორე დღეს, სასამართლო პროცესის დაწყებისას, კლიენტმა „ა“-მ სხდომაზე განაცხადა, რომ მისი ადვოკატი იყო „იმ დაწესებულების რეჟიმის განყოფილების უფროსი“ და არ ენდობოდა მას, ასევე, ასევე განაცხადა, რომ არ სურდა საპროცესო შეთანხმება, არ აღიარებდა დანაშაულს და მოითხოვა ადვოკატის აცილება. სასამართლოს მიერ დასმულ კითხვებზე უპასუხა, რომ სასჯელის მოხდის პერიოდში მის მიმართ არანაირი უკანონო ქმედება არ განუხორციელებია ადვოკატს და არც ამ კუთხით და არც ადვოკატის კვალიფიციურობის თაობაზე პრეტენზია არ ჰქონდა.

სასამართლომ მოისმინა ადვოკატ „ბ“-ს პოზიცია, რომელიც დაასაბუთა „ადვოკატთა შესახებ“ კანონის, ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექს და სსსკ 38; 44 და 45 მუხლებზე მითითებით.

კერძოდ: ადვოკატმა სასამართლოს განუცხადა, რომ ის ნამდვილად მუშაობდა რეჟიმის განყოფილების უფროსად, მაგრამ ამ პირთან არ ჰქონდა რაიმე განსაკუთრებული ურთიერთობა, მაგრამ ეს მას არ ართმევდა იმის უფლებას რომ ადვოკატის მიმართ უნდობლობის ეჭვი გასჩენოდა, ასევე აუხსნა რომ არ არსებობდა სავალდებულო დაცვის ვალდებულებაც, კლიენტს და ადვოკატს შორის ურთიერთობა დაფუძნებული იყო ნდობაზე, მაგრამ სასამართლომ ადვოკატს თვითაცილების შუამდგომლობა არ დაუკმაყოფილა.

სასამართლომ განმარტა, რომ ვინაიდან ადვოკატს დასაცავი პირის მიმართ არ ჰქონდა კანონი დარღვეული, ასევე, კლიენტს მის კვალიფიციურობასთან დაკავშირებით არ ჰქონდა პრეტენზია, არ არსებობდა უნდობლობის საფუძველი.

კლიენტ „ა“-ს ,მანამდეც, იცავდა სხვა კვალიფიციური ადვოკატი, რომლის მიმართაც აგრეთვე განაცხადა მან უნდობლობა, მაგრამ შუამდგომლობა არ დაუკმაყოფილდა, სასამართლოს განმარტებით ,ამის შემდგე კლიენტმა „ა“-მ განაცხადა, რომ აღიარებდა დანაშაულს და სურდა საპროცესო შეთანხმებაზე მოლაპარაკების წარმოება, აქედან გამომდინარე, სასამართლომ ადვოკატი პირობითად ვინმე „შორენა“ ააცილა „ა“-ს დაცვას იმ მოტივით, რომ ეს უკანასკნელი იცავდა მოცემულ საქმეზე ვინმე „გ“-ს და იკვეთებოდა ინტერესთა კონფლიქტი. დღეს კი ასეთ შემთხვევას ადგილი არ ჰქონდა.

გარდა ამისა, მოსამართლემ განმარტა, რომ არ დარღვეულიყო სხვა ბრალდებულების უფლებები არ აკმაყოფილებდა შუამდგომლობას ადვოკატ „ბ“-ს აცილების თაობაზე. სასამართლომ განჩინება დაასაბუთა სსს კოდექსის 42-ე მუხლისა და ადამიანთა უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციაზე, „ნელსონ მანდელას წესებზე“ მითითებით (დაცვის უფლება გარანტირებულია).

ამის შემდეგ, ადვოკატ „ბ“-სთან ერთად საქმეში ჩაერთო ოჯახის მიერ აყვანილი „ადვოკატი „დ“. პროცესის დაწყებამდე, კლიენტმა ადვოკატ „ბ“-ს უთხრა, რომ მათი პოზიციები ცილდებოდა ერთმანეთს და გამოთქვა სურვილი მისი ინტერესები დაეცვა მხოლოდ ოჯახის მიერ აყვანილ ადვოკატს, რაზეც ადვოკატმა უპასუხა, რომ აღნიშნული პოზიცია პროცესის გახსნისას დაეფიქსირებინა მოსამართლესთან. თუმცა ამის დაფიქსირება სრულფასოვნად ვერ შეძლო. ადვოკატმა „ბ“-მ სასამართლოს მიმართა შუამდგომლობით, იმის თაობაზე რომ მისი და კლიენტ „ა“-ს პოზიციები ცდებოდა ერთმანეთს და ასეთი ფორმით ვერ შეძლებდა მისი ინტერესების სრულყოფილად დაცვას, ასევე განუმარტა, რომ ოჯახის ადვოკატი იყო ჩართული საქმეში და

კონონის თანახმად უნდა ჩამოცილებულიყო ვიყავი საქმეს, ადვოკატმა აგრეთვე მიუთითა სსსკ 44-ე მუხლი .

სასამართლომ შუამდგომლობა არ დააკმაყოფილა და განმარტა, რომ მართალი ხართ კანონში წერია, რომ როცა ოჯახის ადვოკატი ერთვება საქმეში, მაშინ სავალდებულო წესით დანიშნული ადვოკატი უნდა ჩამოცილდეს, მაგრამ შესაძლებელია, ხვალ „ა“-მ ოჯახის ადვოკატსაც განუცხადოს უნდობლობა, ასევე განმარტა, რომ „ა“-ს ნებისმიერ დროს შეუძლია განაცხადოს რომ პოზიციებზე ვერ უთანხმდება ადვოკატს, მაგრამ ეს არ წამოადგენს აცილების საფუძველს, მითუმეტეს იმ ფონზე, როცა უკვე რამდენიმე პროცესი არის დარჩენილი შემაჯამებელი გადაწყვეტილების გამოტანამდე - დასაბუთება: საქართველოს კონსტიტუცია, სსსკ 42-ე მუხლი და საერთაშორისო ნორმები.

სასამართლომ განმარტა, რომ ამ კუთხით ისევ თუ დააყენებდა ადვოკატი „ბ“ შუამდგომლობას ჩათვლიდა ადვოკატის მხრიდან არასათანადო ქცევად და მიმართავდა სათანადო ორგანოებს (ამ დროს იწერებოდა თუ არა პროცესის მიმდინარეობა ადვოკატს არ ახსოვს). ფაქტია, რომ მოსამართლის გადაწყვეტილება უპირისპირდება, კლიენტისა და ადვოკატის ურთიერთობის ნორმებს.

II ანალიზი:

კლიენტთან შეთანხმებულად საადვოკატო მომსახურების განხორციელების საკითხთან დაკავშირებით კოლეგია მსჯელობს შემდეგი ნორმების ფარგლებში:

> ადვოკატი კლიენტთან თავის საქმიანობას იწყებს კლიენტთან ურთიერთშეთანხმების საფუძველზე. (ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი „ეთიკის კოდექსი“ მუხლის 8.1).
>
> ადვოკატმა საქმე უნდა აწარმოოს კლიენტის, მისი უფლებამოსილი წარმომადგენლის ან შესაბამისი ორგანოს მიერ დანიშნული კომპეტენტური პირის მითითებით, სავალდებულო დაცვის შემთხვევაში (ეთიკის კოდექსი, მუხლი 8.2).
>
> ადვოკატმა კლიენტს მასთან შეთანხმებული წესით უნდა მიაწოდოს ინფორმაცია მასზე მინდობილი საქმის მსვლელობისა და საქმის წარმოების მოსალოდნელი ხარჯების შესახებ (ეთიკის კოდექსი, მუხლი 8.6).
>
> ადვოკატი ვალდებულია შეასრულოს საპროცესო კანონმდებლობით მისთვის დაკისრებული მოვალეობები და ინტერესთა შეუთავსებლობის შემთხვევაში კლიენტს დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ. (საქათველოს კანონი „ადვოკატთა შესახებ“, მუხლი 5 „ე“ პუნქტი)
>
> ადვოკატი, რომელიც მონაწილეობს საქმეში საქართველოს ან უცხო ქვეყნის სასამართლოს ან ტრიბუნალის წინაშე, ვალდებულია დაიცვას და პატივი სცეს ამ სასამართლოში თუ ტრიბუნალში მოქმედ ქცევის წესებს. (ეთიკის კოდექსი, მუხლი 9.1)

კლიენტი საადვოკატო მომსახურების შეთანხმებით და თავისთავად მინდობილობის გაცემით გამოხატავს ადვოკატისადმი ნდობას, რათა მან პროფესიული უნარ-ჩვევების გამოყენებით გასწიოს საადვოკატო მომსახურება მისი ინტერესების სასარგებლოდ. შესაბამისად, ადვოკატი

ვალდებულია, კეთილსინდისიერად გამოიყენოს მისთვის მინიჭებული უფლებამოსილება, რაც მოიცავს საქმის მიმდინარეობის შესახებ კლიენტისთვის ინფორმაციის მიწოდებას.

„...საქმესთან დაკავშირებულ არსებით გადაწყვეტილებებს კლიენტი უნდა იღებდეს. ეს შეიძლება იყოს: სასამართლოში სარჩელის შეტანა ან მასზე უარი, სარჩელის ცნობა, სარჩელის საგნის შეცვლა, მორიგება, სასამართლო გადაწყვეტილების გასაჩივრება და ა.შ., ხოლო ადვოკატი უნდა იყოს მისი მრჩეველი და წარმომადგენელი... კლიენტისათვის მიცემული რეკომენდაციები და განხორციელებული საქმიანობა უნდა შეესაბამებოდეს კლიენტის ინტერესებს და მათ დაცვას ემსახურებოდეს. კლიენტის საწინააღმდეგო ქმედებების განხორციელება შესაძლებელია შეფასდეს ადვოკატისათვის მინიჭებული მინდობილობის ბოროტად გამოყენებად და უარყოფითად აისახოს ადვოკატის მიმართ ნდობაზე, შედეგად კი შემდგომ ურთიერთობაზე. ადვოკატის მიერ კლიენტის სახელით განხორციელებულ ქმედებას სამართლებრივი ძალა აქვს. ამიტომ ადვოკატმა უნდა იმოქმედოს კეთილსინდისიერად, კლიენტის ინტერესების გათვალისწინებით (ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება, 03.06.2017 №022/11 პარ.6.7).

ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობა სავალდებულო დაცვის ფარგლებში დაიწყო. შეკითხვაში მითითებულია ის გარემოება, თუ რატომ არ სურდა კლიენტს ადვოკატს დაეცვა მისი ინტერესები. კერძოდ: „კლიენტმა „ა“-მ სხდომაზე განაცხადა, რომ მისი ადვოკატი იყო „იმ დაწესებულების რეჟიმის განყოფილების უფროსი“ და არ ენდობოდა მას, ასევე განაცხადა, რომ არ სურდა საპროცესო შეთანხმება, არ აღიარებდა დანაშაულს და მოითხოვა ადვოკატის აცილება“.

კოლეგია აღნიშნავს, რომ საადვოკატო მომსახურების მიღების მსურველი პირი კონკრეტულ ადვოკატისადმი მიმართვით გამოხატავს მისდამი ნდობას და აღნიშნულის საფუძველზე უზიარებს საქმეს იმისათვის, რომ მისი ინტერესები დაიცვას და დაეხმაროს პროფესიულად. ნდობის პრინციპის არარსებობის შემთხვევაში, კლიენტის სურვილის საწინააღმდეგოდ, შეუძლებელია ადვოკატმა გასწიოს საადვოკატო მომსახურება ეთიკური ვალდებულებების დაცვით. ასეთი მომსახურება იქნება კლიენტის ნების საწინააღმდეგო და შეუთანხმებელი მოქმედება, რაც თავისთავად გამორიცხავს კეთილსინდისიერად, ნდობის პრინციპის დაცვით წარმომადგენლობის შესაძლებლობას. მოცემულ შემთხვევაშიც, კლიენტის მიერ ადვოკატისადმი გამოხატული პირადი დამოკიდებულება წარმოადგენდა ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობის შეწყვეტის საფუძველს. მით უფრო, რომ საქმეში ჩაერთო სხვა ადვოკატი, რომლის მიერ წარმომადგენლობის განხორციელებასაც ეთანხმებოდა დაცვის ქვეშ მყოფი პირი.

შესაბამისად, კოლეგია აფასებს, იმ გარემოებებს, თუ როგორ უნდა მოიქცეს ადვოკატი, როდესაც მოსამართლის მითითება ეწინააღმდეგება ადვოკატის საქმიდან ჩამოცილებას, ისეთ გარემოებებში, როდესაც კლიენტს არ სურს წარმოადგინოს არსებულმა ადვოკატმა მისი ინტერესები და ამისათვის უთითებს კონკრეტულ საფუძველს.

თავისთავად, ადვოკატის ერთ-ერთი პროფესიული ვალდებულებაა დაიცვას სასამართლოში მოქმედი ქცევის წესები. „ადვოკატებმა პატივი უნდა სცენ სასამართლოს და განახორციელონ თავიანთი ვალდებულებები სასამართლოს წინაშე შიდა კანონმდებლობის, სხვა წესებისა და პროფესიული სტანდარტების შესაბამისად."(ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია N(2000) 21). ევროგაერთიანების ადვოკატთა ქცევის კოდექსის 4.1 მუხლი განსაზღვრავს: „ადვოკატი, რომელიც იმყოფება ან მონაწილეობს საქმეში სასამართლოს ან

ტრიბუნალის წინაშე რომელიმე წევრ სახელმწიფოში ვალდებულია დაიცვას ამ სასამართლოში თუ ტრიბუნალში მოქმედი ქცევის წესები." ევროგაერთიანების ადვოკატთა ქცევის კოდექსის 4.3 მუხლი უთითებს: „სასამართლოს ღირსეული პატივისცემითა და მოწიწებით, ადვოკატმა უნდა დაიცვას მისი კლიენტის ინტერესები პატიოსნად და უშიშრად მისი პირადი ინტერესების ან მისთვის ან ნებისმიერი სხვა პირისათვის შედეგების მიუხედავად.

ადვოკატის მიერ სასამართლოსთან ურთიერთობის წესის დარღვევას არ წარმოადგენს საქმიდან ჩამოცილება, ისეთ გარემოებებში, როდესაც კლიენტს არ სურს აღნიშნულმა ადვოკატმა წარმოადგინოს მისი ინტერესები, ამასთან, მას არც კი სურს კომუნიკაცია ადვოკატთან, რა გარემოებებშიც შეუძლებელია კვალიფიციურად მის სასარგებლოდ საადვოკატო მომსახურების განხორციელება მით უფრო, რომ საქმეში კლიენტი სხვა ადვოკატით არის წარმოდგენილი და ის არ რჩება დაცვის უფლების გარეშე.

III დასკვნა:

ადვოკატის მიერ კლიენტის ნების საწინააღმდეგოდ წარმომადგენლობა არის დაცვის ქვეშ მყოფი პირის ინტერესების საზიანო, მისი ნების საპირისპირო მოქმედება, რაც ხელშემშლელია ეფექტიანი მართლმსაჯულების განხორციელებისთვის და ირღვევა ადვოკატის მიერ პროფესიული ეთიკური ვალდებულებები. შესაბამისად, ადვოკატს პროფესიული პასუხისმგებლობა ავალდებულებს შეწყვიტოს კლიენტთან ურთიერთობა და მისი ნების საწინააღმდეგოდ არ განაგრძოს წარმომადგენლობა.

მითითება: ეთიკის კომისიის მიერ გაცემული რეკომენდაცია არის მხოლოდ სარეკომენდაციო ხასიათის მოსაზრება და არ აქვს სავალდებულო ხასიათი.

კოლეგიის თავმჯდომარე /თორნიკე ბაქრაძე/

კოლეგიის წევრი /მარიკა არევაძე/

კოლეგიის წევრი /ცისმარი ონიანი/